



ნ.ბ. შ. აბაშიძისა

— პირდაპირ გადასარევიან, როგორ ჩერდება ამ ასეთ უინფორმაციო პირებზე?
 — დაგებული გვეყვას, ბატონო!

საქაჲ, ქაჲლ ცოცოჲს!

უპირველეს ყოვლისა, გისურვებ, არ შეშინდე: საიჭიოდან წერილი დღემდე არავის მიუღია და გამონაკლისი არც შენ ხარ! ამ ბარათს ხევესურეთიდან გიგზავნი.

ისე ხომ მოხერხებულად გავითამაშე „დაღუპვის“ სცენა?! მართალია, ბევრს დაგწყვიტეთ გული, მაგრამ სხვანაირად ჩვენს კრიტიკოსებსა და გამომცემლებს ვერსაიდან მივუღეჭი.

ამას წინათ ჩემმა ძმადნაფიცმა ძაღლიკამ გამოქვაბულში ჟურნალ-გაზეთები ამომიტანა. მართალია გითხრა, მეამა: სამსახურში იმდენი პატივი მცეს, გაზეთებში ნეკროლოგიც კი „გაუმანსავთ“ (სიცოცხლეში ცოცხლად მჭამდნენ).

ვის არ აურუყვებდა გულს ასეთი სტრიქონები: „კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი ს ა მ ა ყ მ ა მ თ ე ბ მ ა ს ა მ უ დ ა მ ო დ ჩ ა ი კ რ ე ს გ უ ლ შ ი თ ა ვ მ დ ა ბ ა ლ ი, დ ი დ ი მ ო მ ა ვ ლ ი ს მ ქ ო ნ ე ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ წ ე რ ა ლ ი დ ა ნ ი ჭ ი ე რ ი გ ე ო ლ ო გ ი...“

შემდეგ სხვა ჟურნალ-გაზეთებიც გადავთვალიერე და, პოი საკვირველებე! თითქმის ყველა რედაქციას დაუბეჭდავს ჩემი მოთხრობები, ხოლო ერთ-ერთი გამომცემლობა ამ მოკლე ხანში ჩემი ნაწარმოებების სრულ კრებულს გამოუშვებს სამ ტომად.

ახლა საქმე: ჩემი საწერი მაგიდის შუა (დიდ) უჯრაში ერთი ოციოდე მოთხრობა და რომანი დევს. სასწრაფოდ მიიტანე გამომცემლობაში (სულ ერთია, რომელში), აუცილებლად დაბეჭდავენ.

შენ, ალბათ, მკითხავ: სადამდე უნდა იჯდე გამოქვაბულში, ან როდემდე გინდა ჯიხვის მწვადი და ხინკალი ჭამო, არ ამოგივიდა ყელშიო? მაგრამ რა მეჩქარება, მოვიციდი კიდევ ცოტა ხანს, იქნებ ჩვენს მშობლიურ ონჭიქედში ძველიც დამიდგან და გამოჩნდები მერე, შე კაცო! მე მგონი, მკვდრეთით აღმდგარ, ახალგაზრდა (ამჟამად უკვე ცნობილ) მწერალს აღფრთოვანებით მიმიღებს საზოგადოება. სხვა რა მოგწერო? იყავი კარგად. პასუხი ძაღლიკას ხელით გამომიგზავნე (ჩვენი კაცია), პაკა!

შენი დროებით „დაღუპული“ ბიძაშვილი ქამლეტი შატლი.

P. S. ერთი ოციოდე კოლოფი „ბეტე“ გამომიგზავნე, მომკლა ჩიბუხის წევამ.

პანო პატიაშვილი.

ნახ. მ. აბაშიძისა



მეფე,
ხელმწიფე,
იმპერატორი
ვინ იცის,
რამდენ პარადს სარდლობდნენ.
ქვეყნიერების იყვნენ პატრონი,
იუმორისა კი —
არასოდეს!
ციხე-დარბაზი ღვინით ტკბებოდა,
თვით ჩიტის რქესაც კი არ ნატრობდნენ,
მაგრამ ეზოზე გამოჩნდებოდა
და ღიღებულნი ჰგავდნენ მათხოვრებს...
ფარისევლობა უმალ ქრებოდა, —
ხუმრობის ისრით თვალდანაშრეტი, —
თავქუდმოგლეჯით იკარგებოდა,
ემალებოდა ხოჯა ნასარედის.
მოსყიდვა სცადეს,
მაგრამ —
ამაოღ,
ვერ მოისყიდის იუმორს კაცო!
მოკვლა უნდოდათ:
„სცადეთ, აბაო!“
თავს უშველა და უჩვენა ბრანწი!
მისი მომრევი არ გაჩნდა მკლავი,
ყველა განსაცდელს და სასჯელს
უძლებს,
მას არა ერთხელ მოჰკვეთეს თავი
და შუბონებმა ააგეს შუბზე.
მაგრამ
მოჰკარავდა ყურს სტივრის დაკვრას.
მესტიერის შაირს,
იგავს, თუ
ზღაპარს,
დაიძახებდა მკვირცხლად:
„მე აქ ვარ!“
ჩამოუვლიდა მაშინვე სწრაფად.
ბრალდება ჰქონდა პოლიტიკური,
გეგონებოდა, ყისმათს მიწებდა.
მიაბიჯებდა
თავჩაქინდრული,
თითქოსდა, ცოდვას ინანიებდა.
დამორჩილა თითქოს განაჩენს
და სული უკვე მიანდო ზენარს,
მაგრამ დაუძვრა უცებ დარაჯებს
და ხელს უქნევდა:
„ოლოლო თქვენა!“
ჰყავდათ ჯურღმულში გამოკეტილი,
მაგრამ ის ამას როდი დარდობდა,
გამოარღვევდა ჰვიტკირის კედელს
და ისევ ლაღად დანავარდობდა.
ფანდები სცადეს ათასნაირი,
მაგრამ არ იქნა,
ვერ დაამარცხეს —
შაშხანითა და ბასრი შაირით
იგი იღებდა ზამთრის სასახლეს.
ის შეეჩვია მრისხანე მზერას;
რა ბედენაა,
უცქირონ თარსად...
და იუმორი,
სხვის გულს რომ სერავს.
ხანდახან ქირდავს
საკუთარ თავსაც.
ის უკვდავია, —
ყველგან შემღწევი,
ის არ დაგიდევს
ღროსა და მანძილს...
მაშ, იუმორი იყოს დღევრძელი, —
ეს უშიშარი,
მამაცი კაცი!

ინსპექტორი სასწრაფოდ დაიბარეს ქალაქის ერთ-ერთ სასადილოში, სადაც უბედური შემთხვევა მოხდა. გზაში მას უამბებს, რომ ჩხუბის დროს ერთმა ყმაწვილმა მეთრეს დანა დაარტყა, შემდეგ ცდილობდა გაქცევას, მაგრამ დააკავეს და ახლა სასადილოში იმყოფება.

სასადილოსთვის მილიციელებს ალყა შემოეკრება. ალყის გარეთ ხალხი იდგა და თავიანთ ნაცნობებს უამბობდნენ „თავისი თვალით“ ნახულ ამბავს...

— მოკლეს! — თქვა ხანმოკლე კაცმა, იმ იმედით რომ ვიღაცა გააგებინებდა, რაში იყო საქმე.

— დირექტორი? — იკითხა მეთრემ და მისკენ მიიწია.

— დირექტორს სასადილოში ვინ ნახავს, მთელი დღე მანქანით დარბის!

ინსპექტორს, სასადილოში შესვლისთანავე, იატაკზე უხედავ დაღვრილ წვნიანზე ფეხი აუტყურდა და უკვე გაბრაზებული მიუახლოვდა ბრალდებულს.

— მე არ მიხდოდა, უფროსო! მე...

— დაწვრილებით მომიყვებით! — უბრძანა ინსპექტორმა.

— ახლავე მოგახსენებთ: შემოვედი სასადილოში, ხელები დავიბანეთ და მაგიდას მივუჯექით. ოფიციატმა რვა ნომერი ღვინო შემოგვთავაზა. ხომ ასე იყო? — მიმართა მან ოფიციატს, — მაგრამ მან, რატომღაც, თავი დახარა და დუმილი ამჯობინა.

— განაგრძეთ!

— დიას... დავლიეთ თითო ბოთლი... შემდეგ რატომღაც წამეკინკლავა. მე კარგა ხანი ვუთმინე. ამ ღლაბეცში შემთხვევით ხელი საჭმლიან თევზში ჩაყო. მე ავიღე ქალაქის ხელსახოცი და გაუწმინდე... მან კი, მაღლობის ნაცვლად, ბოთლს დაავლო ხელი და თავში ჩარტყმა მომიხდომა... მე კი, ვთხოვე გაითვალისწინოთ, მხოლოდ თავდაცვას მიზნით... ხელი დაეტაცე, რაც ხელში მომხვდა და, ჩემდა საუბედუროდ, ეს სუფრის დანა აღმოჩნდა. ძალიან გთხოვთ, მე დამნაშავე არ ვარ!

— კმარა! — შეაწყვეტინა ინსპექტორმა. მერე ადგა, ფრთხილად გაიარ-გამოიარა, ცოტა ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ მილიციის თანამშრომელს მიმართა: — მოძებნეთ! აქ სადმე ბებუთი უნდა იყოს! და მართლაც, ბრალდებულის სკამის ქვეშ, სისხლიანი ბებუთი ეგდო.

რის საფუძველზე გამოიტანა ასეთი დასკვნა ინსპექტორმა?


მან თავიდანვე ეჭვით შეხედა ბრალდებულს ნაამბობს. ჯერ ერთი, სასადილოში ხელი რომ დაიბანო, სასლიდან უნდა წაიღო პირსახოცი და საპონი. რვა ნომრის შოვნა უფრო ძნელია, ვიდრე ასანთისა, ქალაქის ხელსახოცების შოვნა კი სასაკლო სახელმძღვანელოების შოვნაზე უარესია. ბოლოს კი, სასადილოს დანით, რომელიც საერთოდ არ არსებობს, ადამიანის მძიმედ დაჭრა კი არა, ყველის დაჭრა გაძნელებდა.

ანდრო კოკოლია.



ნაბ. ზ. ზირცხალაშვილი

— ასე გაშინაურებას როგორ მიგძლავ, კმანაბო!
— რა ვქნა, ბატონო, ორი წელიწადია სამსახურს ბოთლოვ და შეგვიჩვი!



პირველი ინტერვიუ

— ახლა მე თქვენ ვაბიძოთხავთ... ნაწყვეტებს სისხლის საპართლის კოდექსიდან!

უწყვეტი

მიტომ უწყება მოიტანა: „პატ. მხოლოდ ვალდებული ხართ. აუცილებლად გამოცხადდეთ სკოლის დირექტორთან დეკემბერს, თქვენი ვაჟიშვილის საკითხთან დაკავშირებით!“

— აბა, რა დავაშავეთ? — ვეკითხები შვილს, თან ვცდილობ, გარეგანი სიმშვიდე შევიწარმოო.

მიტომ უშლი შეიჭმუნა და გაიხსენა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი და უცნობი ყველა ჩადენილი ცოდვა. ასლუკუნდა და მიპასუხა:

— კაცმა რომ თქვას, ისეთი არაფერი...

— ისეთი არაფერიო ამბობ?! აბა, შევეცადოთ და კარგად გავიხსენოთ!

— მგონია, არაფერი დამიშავებია.

— აბა, გგონია? მაშ, რატომ მიბარებს დირექტორი? აქ გარკვევით წერია „შვილის საკითხთან დაკავშირებით“, თითქოს ჩემი საკუთარი საკითხები არ მყოფნიდეს!

უცებ გამახსენდა: ერთ გაზეთში იბეჭდებოდა რეცენზიები სათაურით — „საკითხისათვის“, რაც იმას ნიშნავდა, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორმა რაღაც დააშავა. ამისთვის გადავწყვიტე, მიტოსაც ისევე გავწვრიებოდი, როგორც იმ ავტორებს გაუსწორდნენ.

— აბა, გაიხსენა შარვალი!

ბავშვი გასაქცევად მოეშადა, მაგრამ მოხერხებულად დავიკვირე ზედ კარებთან და, რაკი თავი დამნაშავედ არ ცნო, კარგად მივტყუებე.

ამის შემდეგ სკოლაში წავედი.

დირექტორის მისაღებში მოხუცი დედაკაცი იჯდა. მასაც მივლო უწყება, თავსაფრის ბოლოთი. იწმინდა ცრემლებს, თან წარამარა იმეორებდა სიტყვას — „ანტიქრისტე“. ამ დროს კი მისი „ანტიქრისტე“ შვილიშვილი ყველა ამქვეყნიური ცოდვისგან გამდგარი ადამიანის გამომეტყველებით, მშვიდად იჩიჩნიდა ცხვირს და ჩემს მიტოს ისე ათვალიერებდა, თითქოს ეუბნებოდა: „უნდა ამაღლდე ყოველივე ამაზე და სტოიკურად გაუძლო ცხოვრებისეულ უსამოყვენებებს! დიდი საქმე! კიდევ ერთხელ მომცხებენ, მაგრამ რა არის ეს იმ უსამართლობასთან შედარებით, რაც ყოველდღიურად ხდება ჩვენს პლანეტაზე?“

— შენ უკვე გცემეს? — საქმიანად დაინტერესდა იგი.

— ზო! — ჩაიბუზღუნა მიტომ.

— მეც, — არცთუ ისე თავდაბლურად თქვა „ანტიქრისტემ“.

ამ დროს გაიღო დირექტორის კაბინეტის კარი და გვთხოვეს მობრძანდითო. შემოგვეგება მხიარულად მომღიმარი დირექტორი, ჯერ მოხუცს ჩამოართვა ხელი, შემდეგ — მე და გახარებულმა გვითხრა:

— „თქვენმა შვილებმა საპრიზო ადგილები დაიკავეს შიდასაკოლო შეჯიბრებაში სირბილში. მოგიწვიეთ, რათა გადმოგცეთ შეუპოვარ და დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებული დიპლომები. ვუსურვებ ამხანაგ მშობლებს ახალ-ახალ წარმატებებს ფიზიკურად ძლიერი თაობის აღზრდის საქმეში, თაობისა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებების და მზად არის, გადალახოს ყოველი სიძნელე დასახული მიზნის მისაღწევად!“

— აბა, კიდევ ვინ მყავდა გამოძახებული?! — ჰკითხა დირექტორმა მღვიანს...

ვაჩი ვაჩანაელის თავგადასჯა

ეროვნული
ინტელექტუალური

ჯეომოდან დარეკვა

ვაჩი ერთხანს უმუშევრად დადიოდა. თავის შესაფერ სამუშაოს ეძებდა. ლეზაში მიავნო კიდევ. მაგრამ მდივანმა უთხრა, დირექტორი ისეთი კაცია, თუ ზემოდან არ დაურეკეს, ისე არავის იღებსო. ვაჩი მაშინვე გამოვიდა, ტაქსი დაიჭირა, ავიდა და ფული-კულორიდან დაურეკა დირექტორს.

ტაში

ერთხელ ვაჩის თხოვეს. კრებაზე გამოსულიყო სიტყვით. ვაჩი კათედრასთან მივიდა თუ არა. მაშინვე დაავიწყდა სათქმელი. ხელებს იქნევდა და რალაც გაუგებარ სიტყვებს ისროდა. დარბაზმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

— კი მაგრამ, არაფერი გითქვამს და ტაში რატომ დაგიკრეს? — ჰკითხა თანამშრომელმა.
— ჩემი რა ხელად გაგიკვირდებათ ხოლმე, დირექტორს სულ ასე არ უკრავენ ტაშს? — ეწყინა ვაჩის.

დისერტაცია

ერთმა ფილოლოგმა ვაჩის უთხრა:
— ქართულ ანდაზებზე დისერტაცია მინდა დაეწერო და რას მიჩვენე, რომელი ანდაზით დავიწყო შრომა?
— „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“ — მიუგო ვაჩიმ.

მხატვარი და ვაჩის ცოლი

ერთი მხატვარი მხოლოდ ლამაზი ქალების პორტრეტებს ხატავდა და სურათებს საკმაოდ კარგ ფასებში ყიდდა.

— ნება მომეცი შენი ცოლიც დაეხატო! — თხოვა ერთხელ მხატვარმა ვაჩის.
— დახატე, მხოლოდ ზარალს მე არ ავინაზდაურებ, იცოდე! — უთხრა ვაჩიმ.

დახუჭული თვალები

ვაჩის მეზობელი გარდაეცვალა და პანაშვიდზე წავიდა. მიცვალებულის ცოლი აუბოს წინ დახრილიყო და წამდაუწუმ უკიოდა ქმარს:

— რატომ გაქვს თვალები დახუჭული, რატომ?!
უსმინა ვაჩიმ, უსმინა, მოიშალა ნერვებზე და უთხრა:
— რა გაუჭიერ საქმე?! მაგას თვალები მაშინ ჰქონდა დახუჭული, შენ რომ შევივითო!

სამსახურში

ვაჩი და თავისი მეზობელი შეხვდნენ და ოჯახური ამბები გამოჰკითხეს ერთმანეთს.

— ჩემი ბიჭი უკვე საბავშვო ბაღში დადის. — უთხრა მეზობელმა. — ვერ წარმოიდგენ, რა კარგად არის: ჭამს, სვამს და იქვე იძინებს.
— სამსახურში მოგიწყვია უკვე და... — მიუგო ვაჩიმ.

გულწრფელი მადლობა

— **თუ** შეიძლება, ერთი დღით სამსახურიდან გამათავისუფლეთ, სიდედრი მიბარებს სოფელში, — თხოვა ვაჩიმ თავის უფროსს.

— არაფართარ შემთხვევაში!
— დიდი მადლობა, ბატონო! ამ სამსახურს არ დაგიკარგავთ, — სიხარულისგან კინაღამ ატირდა ვაჩი.

ვაჩი და ფოტოგრაფი

ვაჩიმ გადაწყვიტა, თავისი ტყუპი შვილებს თავის სურათი გადაეღო და ორივე ფოტოგრაფთან წაიყვანა. როცა სურათების დასახსნელად მივიდა, ფოტოგრაფმა უთხრა, ორი მანეთია შენზეო. აღმოჩნდა, რომ მას მხოლოდ ერთი ბავშვის სურათი დაემზადებინა.

— მეორე?
— მეორე რაღად გინდა, ზუსტად ეგეთია.
ვაჩიმ, ორის მაგივრად, ერთი მანეთიანი მისცა.

— მეორე?
— მეორე რაღად გინდა, ზუსტად ეგეთია!
თვალების სივიწროვე

— **თვალების** სივიწროვე გჭირს, რა მიშველის? — ჰკითხა ერთმა კაცმა ვაჩის.
— ბაზრებში იარე და პრობლემები დააფასებინე ხოლმე.

გიგა მახვილამე

სუვენირი

— საზღვარგარეთ მიღისარ?
— კი, ტურისტული საგზურით.
— მეც მივდივარ და არ ვიცი პირდაპირ, რა წავიღო... სუვენირი ხომ გინდა კაცს?!
— აბა, მეც მაგ დღეში ვარ!
— მირჩიეს, კონიაკი წაიღეო...
— მხოლოდ მაროჩინი.
— ღვინოები... ხმელი ხილიც ურიგო არ იქნებაო...
— ჰო! ჩურჩხელები, ჩირი, რამე, ამბავი...
— ნაბდის ქული?...
— აი, ეგეც კარგი რამეა!
— აღმოსავლური ეგზოტიკა — ყანწიც კარგი იქნება.
— ბიჭო! როგორ ვერ გავიხსენე!

ნე! ეგრევე გავრბივარ საყიდლად!
— მოიცა, ყანწი არ ესმითო, საყვირი ჰგონიათო...
— მორჩი, კაცო! მანდ რა არის გაუგებარი? დაასხი — დალიე! ხიზილადაც თუ ვიშოვე, ერთი ორი ქილა...
— ეგ კი არა, სახლში შემეჭამეს ქაჯებმა.
— ვინ ქაჯებმა?
— მამაჩემმა და პაპაჩემმა... „შვილო! ერთი ორი წიგნიც გაიყოლე ჩვენი ქვეყნის შესახებო...“, გესმის?!
— ხა, ხა!..
— აბაა!
ზურღან ყორღანაშვილი




— თუ ქმა ხარ, ხელი გაუშვი მაგ ძროხებს და ჩემკენ გამოიხედე!
— ხომ არ გაგიჟდი?! ამათი ხელისგაშვება და წაქცევა ერთი იქნება!



— რა ამბავია აქდენი მტვერი და ნაბავი?!
— რა გაყვირებს, კაცო! პირველად ხარ გაზარში?



— ევეც თუ ჩვენ შემოგვისახლეს, დავიღუპეთ, შვილებო!



ბ. 67

— „კლუნი“ ხომ არა გაქვს თორემეტი თორხეხეცხე?

სიმღერა თბილისზე

ის იყო, ვენახის მეთე მწკრივის შეთონხას ვამთაფრებდი, რომ რადიოდან შე-
სანიშნაურ სიმღერა მომესმა:

„თბილისო, მზის და ვარდების მხარეო,
უშენოდ სიცოცხლე არ მინდა!

სად არის ასეთი მთაწმინდა!

ვუსმინე, ვუსმინე, და, ექსტაზში შესულმა, მთელი გრძნობით წამოვიძახე:

— არც მე მინდა!

თოხი განზე მოვიქნე და ვენახის ღობეზე გადმოვხტი.

— რამ გადავრია, ბიჭო! — იყვრა დედაჩემმა.

— უთბილისოდ სიცოცხლე არც მე მინდა! მეც მაქვს ატესტატი და შემოი-
ღია თავის რჩენა! — ვუთხარი მე.

— ხომ არ გაგიყდი, შვილო?! — საწყლად შემომხედა დედაჩემმა და პირ-
ჯერის წერა დაიწყო.

— დიახ, თუკი მეც ქართველი ვარ, თუკი მეც მიყვარს სამშობლო, რატომ
არ უნდა ვცხოვრობდე თბილისში? არც მე მაწყენს თონის პური და კახური ღვი-
ნო, მეც დავეტყვი **დედაქალაქში**.

დედაჩემს ხუმრობა ეგონა, ამიტომ გავეუმორე:

— სამუშაოს მოუძებნი, თუ გამიჭირდება, აგერ არ მყავხარ? წერილს მოგ-
წერთ და ფულს გამომიგზავნი!

ხელ-პირი დავიბანე და სამგზავროდ მოვემზადე.

ახლა კი გარკვევით იცივლა დედაჩემმა: ვენახს ვინ მოუვლის?! ყანას რა ემ-
ველება?! სახლ-კარის პატრონი ვინ მრჩებაო, მაგრამ მე უკვე მომზადებული ვახ-
ლდით და, რაკი ვთქვი, სიტყვას ხომ ვერ გავტყუდი? — გზას ბარაქა დავყარე..

მივდიოდი და სიმღერა კვლავ ჩემს მხარეზე იყო:

„თბილისო, უშენოდ სიცოცხლე არ მინდა!“

თუ მასეა, არც მე მინდა!

შოთა როყვა



შევცდი და ჩემს ცოლს ამ წელსაც
გადავუნადე დღეობა...
ღმერთმა დასწყევლოს ამგვარი
პურისჭამა და ღრეობა.
ჩვენ ერთი მოვიპატიეთ,
იმან სხვა მოიყოლია,
ერთად ამდენი სტუმარი
არასდროს არა გვეყოლია.
იმდენი ხალხი მოგვაწყდა,
(კაცმა უნდა თქვას სიმართლე)
ოჯახის ღვინო არ გვეყო,
ნაყიდი შემოვიმატიეთ.
ვიდაცამ იუკადრისა,
გაიღრჭიალეს კბილებმა:
„არიქა, ღვინო შეცვალეს
ამ ნამუსგარეცხილებმა!“
წამოიშალნენ სუფრიდან,
მთვრალეებმა ჩხუბიც მოასწრეს,
მეც მომხედა, სიდედრ-სიმამრსაც,
„იუბილარსაც“ მთარტყეს...
მაგიდა გადავვიბრუნეს,
ავვიკლეს, სისხლი გავვიშრეს,
ნაქირავეები ჭურჭელი
დაგვიღვეს და დაგვიფშენეს.
მერე გაშორდნენ „ბრძოლის ველს“,
მტრისას ამგვარი სურათი
ჩვენ გაგვამწარეს, თვითონ კი
წავიდნენ „სისა-ტურათი“.

ბრიტოლ რიქვილაქმ.



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. ბოლქვაძე
(პ/მზ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღალაშვილი,
ბ. ნიშნაშვილი,
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. ზველიძე,
ო. ჭილიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ნიანგი

ტელ. 9-76-69, 3-10-78.

ნახ. ლ. ზარაფიშვილისა




— სად იშოვნე ასეთი ცოლი?!
— ლატარიაში მერბო, მაგის ბილეთმა „ჟოლა“ გიოგო.

დიდი პატარაბი

Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
საქ. პრ. ცენტრალური
კომიტეტის გამომცემ-
ლოგო. ხალგოვ.
დასაბ. 15/1 1968 წ.
ჟალ. ზომა 70x108 1/8
1 ნახ. ფურც. 1,4.
ფიზიკურ ფორმატა
რაოდენობა 1.
პრობით ფორმატა
რაოდ. 2. საქ. პრ.
ცენტრალური გამომცემლო-
ბის კ/კომიტეტი.
თბილისი, ლენინის
ქ. № 14. შეკრ. № 24.
უი 01913.
ბირაჟი 82.300.


საქართველო

სტალინის დეკლარაციამ ინგლისში 600-ზე მეტი სახეობის სამრეწველო და სასურსათო საქონელზე ფასების აწევა გამოიწვია.



თეთრი სახლი უსიტყვებოდ აცხადებს, რომ შუად არის. წარმოს მოლაპარაკება ვიეტნამში დაზავების შესახებ და ამისთვის იკრები ღიაა და ღიად დარჩება.

„ღია კარები“



„ფანჯრის აწევა“

ლატინური ამერიკის ქვეყნებმა შეერთებულ შტატებთან ვაჭრობაში უკვე დაჰკარგეს 20 მილიარდი დოლარი. ამჟამად ისინი ყოველწლიურად 4 მილიარდ დოლარამდე ჰკარგავენ.



ლატინური ამერიკის ბაზარში

ნახ. ვ. ლომიძისა

საქართველო